

უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ასოციაციის წევრ ადვოკატთა საქმეებზე მარეაბელიტირებელი ან/და ახალი გარემოებების დამდგენი

კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში შექმნილი „უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ასოციაციის წევრ ადვოკატთა საქმეებზე მარეაბელიტირებელი ან/და ახალი გარემოებების დამდგენი“ კომისია, (შემდგომში „კომისია“) წარმოადგენს ასოციაციის დროებით ორგანოს.

1.2. კომისია შექმნილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-15.1 მუხლის „წ“ პუნქტისა და მე-16¹ მუხლის შესაბამისად.

1.3. კომისიის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს საქართველოსა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

1.4. კომისია შექმნილია დროებით, მაგრამ არანაკლებ ვადისა, რომელიც ობიექტურად ესაჭიროება მის წინაშე დასმული მიზნების სრულად ან უპირატესად განხორციელებას და იგი არ შეიძლება აღემატებოდეს აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილების ვადას. კომისიის უფლებამოსილება იწყება წინამდებარე დებულების დამტკიცებისთანავე.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის მიზანი

კომისიის საქმიანობის მიზანია 2003-2012 წლებში საქართველოში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებული (რეპრესირებული) ასოციაციის წევრი ადვოკატების საქმეების ინდივიდუალური წესით შესწავლა და კონკრეტული ადვოკატის მიმართ პროფესიული, მორალური, აგრეთვე სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე მარეაბელიტირებელი ან/და ახალი გარემოებების არსებობის შესახებ წერილობითი დასკვნის შედგენა, ასეთის გამოვლენის შემთხვევაში.

მუხლი 3. კომისიის ამოცანები და საქმიანობა

3.1. კომისიის ამოცანებია:

3.1.1. სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებული (რეპრესირებული) ასოციაციის წევრი ადვოკატების მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების აღდგენა შესაბამისი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის ხელშეწყობის გზით, საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით.

3.1.2. საკანონმდებლო და მარეგულირებელი მხარდაჭერის უზრუნველყოფა სამართლის უზენაესობის დამკვიდრების და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისათვის.

3.2. თავისი ამოცანების განსახორციელებლად კომისია:

3.2.1. შეიმუშავებს წინადადებებს და რეკომენდაციებს, რომელსაც წარუდგენს ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატს.

3.2.2. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, თანამშრომლობს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუციებთან და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ კოალიციებთან.

3.2.3. ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, აწყოფს ფორუმებს, სამუშაო შეხვედრებს და კონფერენციებს.

3.2.4. აღმასრულებელი საბჭოსათვის შეიმუშავებს საჯარო განცხადებების პროექტებს კომისიის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3.2.5. ანალიზებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ატარებს კვლევებს.

მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა

4.1. კომისია შედგება 9 წევრისაგან.

4.2. კომისის ჰყავს თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი საბჭო.

4.3. კომისიის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე აირჩევა კომისიის უფლებამოსილების ვადით.

4.4. კომისიის დანარჩენ წევრებს ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით.

4.5. კომისიის წევრები აირჩევიან კომისიის საქმიანობის ვადით.

4.6. კომისიის წევრი შეიძლება ვადამდე იქნას გაწვეული კომისიის შემადგენლობიდან აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, კომისიის თავმჯდომარის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე.

4.7. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს კომისიაში მოიწვიოს სხვადასხვა დარგის ექსპერტები და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, როგორც სასამართლოს სისტემიდან, ასევე სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან.

მუხლი 5. კომისიის სხდომა

5.1. კომისია თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ატარებს სხდომებს, რომლებიც მოიწვევა არანაკლებ თვეში ერთხელ. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი გაისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის მიერ.

5.2. კომისიის სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნას ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით.

5.3. კომისიის სხდომის მოწვევის ორგანიზაციულ საკითხებს უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე.

5.4. კომისიის მდივანი სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე კომისიის წევრებს ელექტრონული ფოსტით უგზავნის ან ტელეფონით ატყობინებს სხდომის მოწვევის და დღის წესრიგის შესახებ.

5.5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა მესამედზე მეტი. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია დააყენოს წინადადება სხდომის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

5.6. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, თუ ამ დებულებით სხვა უმრავლესობა არ იქნება დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5.7. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნას ელექტრონული ფოსტით დადასტურებითაც, თუკი კომისიის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ელექტრონული ფორმით გამოხატავს თანხმობას და ეს აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

5.8. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომლსაც ადგენს მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე ან თანათავმჯდომარე და მდივანი, რაც ადასტურებს საოქმო ჩანაწერის სიზუსტეს.

მუხლი 6. კომისიის თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე

6.1. კომისიის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს კომისიის მუშაობას და უძღვება კომისიის სხდომებს.

6.2. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის წინასწარი თანხმობის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარეს აქვს უფლება გააკეთოს საჯარო განცხადებები კომისიის საქმიანობასა და კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

6.3. კომისიის თავმჯდომარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანდა თავად კომისიის თავმჯდომარის თხოვნის საფუძველზე, კომისიის მუშაობას კოორდინირებას უწევს თანათავმჯდომარე.

მუხლი 7. კომისიის სამდივნო

7.1 კომისიის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აპარატი.

7.2. მდივანი, ორგანიზებას უწევს კომისიის შეხვედრისა და კომისიის სხდომის ოქმის შედგენას და მის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისათვის.

მუხლი 8. კომისიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

8.1. კომისიის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

8.2. კომისიის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები და მოწვეული ექსპერტები შეიძლება დაფინანსდეს ასოციაციის ბიუჯეტიდან ანდა კომისიის მიერ, ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით, მოძიებული გრანტის და შემოწირულობის სახსრებიდან.

8.3. კომისიისათვის გამოსაყოფი ბიუჯეტის ოდენობას ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.

8.4. გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიმართულებებს განსაზღვრავს თავად კომისია.

მუხლი 9. დებულების შეცვლა

9.1. წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

9.2. დებულების ცვლილებებისა და დამატებების ან დებულების ახალი რედაქციის პროექტს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 10. დებულების მოქმედების ვადა

წინამდებარე დებულება ძალაშია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის საქმიანობის ვადით.